

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების  
ცენტრალური დეპოზიტარი“  
ფინანსური ანგარიშგება

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა  
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

# შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	i
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	ii-iv
სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2017 წლის 27 მარტს:

გაიოზ სანაძე

გენერალური დირექტორი

\_\_\_\_\_

ხათუნა გვილაგა

მთავარი ბუღალტერი

\_\_\_\_\_

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

### *პირობითი მოსაზრება*

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს „ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ („კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აზრებში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### *პირობითი მოსაზრების საფუძველი*

2003 წელს კომპანიის სააქციო კაპიტალში განხორციელდა არამატერიალური აქტივების და ძირითადი საშუალებების შეტანა რომელთა აღიარება მოხდა შეფასებული ღირებულებით, რაც შეადგენდა 85,000 ლარს. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი მტკიცებულება კაპიტალის აღნიშნული თანხით ზრდის დასადასტურებლად.

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრულ ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### *ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე*

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც

ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორ ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი

მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

27 მარტი 2017

არესემ საქართველო

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“

ფინანსური ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		2016	2015
	შენიშვნა	ლარი	ლარი
საკომისიო და საწევრო შემოსავლები		58,032	41,174
სხვა საოპერაციო შემოსავალი		14,672	12,000
<b>სულ შემოსავალი</b>		<b>72,704</b>	<b>53,174</b>
ხელფასის ხარჯი		(128,150)	(120,154)
იჯარის ხარჯი		(17,185)	(12,669)
საკონსულტაციო ხარჯი		(5,000)	(14,573)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	4	(2,601)	(2,552)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(9,495)	(10,881)
წარმომადგენლობითი ხარჯები		(35,506)	-
ფინანსური შემოსავალი	8	22,046	5,625
სპონსორებისგან მიღებული შემოსავალი	11	61,706	-
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)		(28,775)	79,356
არასაოპერაციო ზარალი		-	(398)
<b>(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე</b>		<b>(70,256)</b>	<b>(23,072)</b>
მოგების გადასახადი	3	(3,991)	4,029
<b>წლის (ზარალი)/მოგება</b>		<b>(74,247)</b>	<b>(19,043)</b>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<b>სრული შემოსავლები წლის განმავლობაში</b>		<b>(74,247)</b>	<b>(19,043)</b>
შემოსავალი/(ზარალი) ერთ აქციაზე	12		
<b>საბაზისო და გაზაფხული</b>		<b>(0.69)</b>	<b>(0.19)</b>

გაიოზ სანაძე

გენერალური დირექტორი

\_\_\_\_\_

ხათუნა გვილაგა

მთავარი ბუღალტერი

\_\_\_\_\_

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		2016	2015
აქტივები	შენიშვნა	ლარი	ლარი
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები	4	7,431	10,032
არამატერიალური აქტივები	5	-	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი	6	-	3,991
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>7,431</b>	<b>14,023</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>			
მოგების გადასახადის აქტივი		4,897	4,897
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	10,590	6,801
ფული და ფულის ექვივალენტები	8	1,374,771	343,231
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>		<b>1,390,258</b>	<b>354,929</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>1,397,689</b>	<b>368,952</b>
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>			
<b>კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	9	405,699	101,200
საემისიო კაპიტალი	9	809,501	10,800
გაუნაწილებელი მოგება		180,317	254,564
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>1,395,517</b>	<b>366,564</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		2,172	2,388
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>		<b>2,172</b>	<b>2,388</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>2,172</b>	<b>2,388</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>1,397,689</b>	<b>368,952</b>

გაიოზ სანაძე

გენერალური დირექტორი

\_\_\_\_\_

ხათუნა გვილავა

მთავარი ბუღალტერი

\_\_\_\_\_



სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  
 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწი- ლებელი მოგება	სულ კაპიტალი
	შენიშვნა	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
<b>2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>		<b>101,200</b>	<b>10,800</b>	<b>273,607</b>	<b>385,607</b>
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	(19,043)	19,043
<b>2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>		<b>101,200</b>	<b>10,800</b>	<b>254,564</b>	<b>366,564</b>
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	(74,247)	(74,247)
აქციების გამოშვება	9	304,499	798,701	-	1,103,200
<b>2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>		<b>405,699</b>	<b>809,501</b>	<b>180,317</b>	<b>1,395,517</b>

გაიოზ სანაძე

გენერალური დირექტორი

\_\_\_\_\_

ხათუნა გვილავა

მთავარი ბუღალტერი

\_\_\_\_\_

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**  
**2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

		2016	2015
	შენიშვნა	ლარი	ლარი
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები		68,915	67,225
მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(195,552)	(154,303)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(8,200)
მიღებული პროცენტი		83,752	5,625
<b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(42,885)</b>	<b>(89,653)</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
სადეპოზიტო სერთიფიკატების შექმნა		-	20,000
ძირითადი საშუალებების შექმნა	4	-	(17,515)
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>-</b>	<b>2,485</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>			
აქციების გამოშვებიდან მიღებული შემოსავალი	9	1,103,200	-
<b>საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>1,103,200</b>	<b>-</b>
<b>ფული და ფულის ექვივალენტები</b>			
<b>1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>8</b>	<b>343,231</b>	<b>351,043</b>
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		1,060,315	(87,168)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულზე და ფულის ექვივალენტებზე		(28,775)	79,356
<b>31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>8</b>	<b>1,374,771</b>	<b>343,231</b>

გაიოზ სანაძე

გენერალური დირექტორი

ხათუნა გვილავა

მთავარი ბუღალტერი

## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

	გვერდი
1 ზოგადი ინფორმაცია	6
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
3 მოგების გადასახადი	15
4 ძირითადი საშუალებები	16
5 არამატერიალური აქტივები	16
6 გადავადებული მოგების გადასახადი	17
7 ფინანსური აქტივები, დებიტორული მოთხოვნები	17
8 ფული და ფულის ექვივალენტები	17
9 სააქციო კაპიტალი	18
10 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	18
11 სპონსორებისგან მიღებული შემოსავალი	19
12 შემოსავალი ერთ აქციაზე	19
13 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ	19
14 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	20
15 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები	20

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“  
ფინანსური ანგარიშგება  
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## 1 ზოგადი ინფორმაცია

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 1999 წლის 1 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფასიანი ქაღალდებით საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგებების ანგარიშსწორება და ფასიანი ქაღალდების შენახვა-აღრიცხვა არამატერიალიზებული ფორმით.

კომპანიის დამფუძნებელია სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ („დამფუძნებელი“).

2016 წლის დეკემბერში კომპანიამ გამოუშვა 304,499 აქცია, ნომინალური ღირებულებით თითო აქციაზე - 1 ლარი, ხოლო გასაყიდი ფასი შეადგენდა 3,62 ლარს, რის შედეგადაც კომპანიის სააქციო კაპიტალი გაიზარდა 304,499 ლარით, ხოლო საემისიო კაპიტალი 798,701 ლარით. ახალი გამოშვებული აქციები სრულად შეიძინა სს „თბილისის საფონდო ბირჟამ“ ჯამური ღირებულებით 1,103,200 ლარი.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 24,64% წილის მფლობელია სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“, ხოლო 75,06%-ს ფლობს სს „თბილისის საფონდო ბირჟა“. (2015: სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“- 98,81%; სხვა - 1,19%).

## 2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

### (ა) ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ბუნების მიხედვით. კომპანიის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

### საქმიანობის სპეციფიურობა

როგორც ზემოთ არის აღნიშნული კომპანია უზრუნველყოფს ანგარიშსწორების სერვისს თავისი მომხმარებლებისთვის, რომელიც მოიცავს ფასიანი ქაღალდებით ტრანზაქციებს მომხმარებლების საკუთარ და კლიენტების ნომინალურ ფასიანი ქაღალდების ანგარიშგებაზე. ამ საქმიანობის ფარგლებში მიღებული აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები არ აღიარდება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან კომპანია ამ საქმიანობიდან საკუთარ თავზე იღებს მხოლოდ საოპერაციო რისკებს. ყველანაირ საკრედიტო და საბაზრო რისკებს საკუთარ თავზე იღებს მომხმარებელი. შემოსავალი სადეპოზიტო სერვისიდან აღიარდება როდესაც მოხდება მომსახურების გაწევა.

### შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის

## სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“

### ფინანსური ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე დადებული გარიგებების ან კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბზრო მონაცემები).

### ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად სავალდებულოა შემდეგი ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტების გამოყენება 2016 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ცვლილება ბასს 1-ში სახელწოდებით *Disclosure Initiative* (გამოცა 2014 წლის დეკემბერში) - ცვლილებები ვრცელდება 2016 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და მის შემდგომ პერიოდებზე, განმარტავს მატერიალობას და აგრეგაციას, ქვეჯამების პრეზენტაციას, ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურასა და საადრიცხო პოლიტიკის განმარტებებს. აღნიშნული ცვლილებები არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილება ბასს 16 და ბასს 38-ში „ცვეთისა და ამორტიზაციის მისაღები მეთოდების განმარტება“ (გამოცა 2014 წლის მაისში) - ცვლილებები დამატებით გავაწვიან ინსტრუქციას და განმარტავენ, რომ (ა) აქტივის ცვეთის გამოსათვლელად შემოსავლების მეთოდების გამოყენება არ არის სათანადო რადგანაც, ისეთი საქმიანობით გენერირებული შემოსავალი, რომელიც გულისხმობს აქტივის გამოყენებას, ზოგადად ითვალისწინებს სხვა ფაქტორებს, გარდა აქტივში განივთებული ეკონომიკური სარგებლის გამოყენებისა, და (ბ) შემოსავალი ზოგადად მიჩნეულია, როგორც შეუფერებელი ბაზა, არამატერიალურ აქტივში განივთებული ეკონომიკური სარგებლის გამოყენების შესაფასებლად; თუმცა, გარკვეულ შეზღუდულ გარემოებებში შესაძლებელია ამ პრეზუმფციის უარყოფა. აღნიშნული ცვლილებები პროსპექტულად მოქმედებს 2016 წლის 1 იანვარს დაწყებული და მომდევნო წლებისთვის. დირექტორების მოლოდინით, აღნიშნულ ცვლილებას გავლენა არ ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 16 და ბასს 41-ში „სოფლის მეურნეობა: მსხმოიარე მცენარეები“ (გამოცა 2014 წლის ივნისში) - ცვლილებები მოქმედებს 2016 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო პერიოდებზე და განმარტავენ მსხმოიარე მცენარეებს - ანუ ცოცხალ მცენარეებს, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ პროდუქციის შესაქმნელად რამდენიმე პერიოდის განმავლობაში და ნაყოფიერების ვადის ამოწურვის შემდეგ ჩვეულებრივ ნადგურდება (მაგ: ვაზი, კაუჭუკის ხე, ზეთის პალმა) - და განიხილავენ მათ ბასს 16-ის ფარგლებში, ხოლო მსხმოიარე მცენარეებიდან მიღებულ პროდუქციას ბასს 41-ის ფარგლებში. ვინაიდან კომპანია არ არის ჩართული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, ხელმძღვანელობის მოლოდინით, აღნიშნულ ცვლილებას გავლენა არ ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილება ბასს 19-ში (წლიური გაუმჯობესებები ფასს 2012-2014 ციკლში, გამოცა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილება, რომელიც მოქმედებს 2016 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო პერიოდებზე, განმარტავს, რომ მაღალი კლასის კორპორატიული ობლიგაციები შრომითი საქმიანობის შემდგომი სარგებლისთვის დისკონტირების განაკვეთის გამოთვლისას დენომინირებული უნდა იყოს იმავე ვალუტაში, რაშიც განხორციელდება სარგებლის გადახდა. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 27-ში „კაპიტალ-მეთოდი ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში“ (გამოცა 2014 წლის აგვისტოში) - ცვლილებები, რომლებიც მოქმედებს 2016 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებზე, რაც სუბიექტს საშუალებას აძლევს შეიღობოს, პარტნიორ და მეკავშირე კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციები ადრიცხოს კაპიტალ-მეთოდით, მათ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“

### ფინანსური ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ცვლილება ფასს 5-ში (წლიური გაუმჯობესებები ფასს 2012-2014 ციკლში, გამოიცა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილება, რომელიც პროსპექტულად მოქმედებს 2016 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებზე, დამატებით ინსტრუქციებს აწვდის სუბიექტს, რომელიც ახდენს გასაყიდად გამიზნული აქტივის (ან აქტივთა ჯგუფის) რეკლასიფიცირებას მესაკუთრეთათვის გადასაცემად გამიზნულ აქტივად, ან პირიქით, და იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება გადასაცემად გამიზნული აღრიცხვის შეწყვეტა. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილება ფასს 7-ში (წლიური გაუმჯობესებები ფასს 2012-2014 ციკლში, გამოიცა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილება, რომელიც მოქმედებს 2016 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებზე, დამატებით ინსტრუქციებს გვაწვდის, რათა დაკონკრეტდეს გადაცემულ აქტივზე გულისხმობს თუ არა მომსახურების ხელშეკრულება განგრძობად მომსახურებას. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილება ფასს 10, ფასს 12, და ბასს 28 სახელწოდებით *საინვესტიციო კომპანიები: კონსოლიდაციის გამონაკლისების გამოყენება* (გამოშვებული 2014 წლის დეკემბერში) - ცვლილებები ვრცელდება პერიოდზე დაწყებული 2016 წლის 1 იანვრიდან და მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს საინვესტიციო კომპანიების მხრიდან მათი შვილობილების კონსოლიდაციის გამონაკლისებს. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს 11-ში „ერთობლივ საქმიანობაში წილის შეძენის აღრიცხვა“ (გამოიცა 2014 წლის მაისში) - ცვლილებები, რომლებიც პროსპექტულად მოქმედებს 2016 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებზე, მოითხოვენ, რომ ერთობლივ საქმიანობაში, რომელიც წარმოადგენს ბიზნესს (როგორც ეს განსაზღვრულია ფასს 3-ში), წილის შეძენმა პირმა გამოიყენოს საწარმოთა გაერთიანების ყველა სააღრიცხვო პრინციპი და განმარტება ფასს 3 და სხვა ფასს სტანდარტების თანახმად, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ფასს 11-ის მიერ მოწოდებულ ინსტრუქციას. ცვლილებები უნდა აისახოს როგორც ერთობლივ საქმიანობაში წილის თავდაპირველ შეძენაზე, ასევე ერთობლივ საქმიანობაში დამატებითი წილის შეძენაზეც (ამ უკანასკნელის დროს, არ შეფასდება ამ მომენტამდე ხელთ არსებული წილები). აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### **ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული**

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2016 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიამ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი ან შესწორებული სტანდარტები, რომლებიც, გამოშვებულია ბასს-ის კომიტეტის მიერ და ჯერ არ არის ქმედითი 2016 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ფინანსური წლისთვის.

ცვლილებები ბასს-7- ში სახელწოდებით *Disclosure Initiative* (გამოშვებული 2016 წლის იანვარში). ცვლილებები სტანდარტში, ეხება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და მომდევნო პერიოდებს, რომელიც მოითხოვს კომპანიების მიერ ინფორმაციის გამჭვირვებას ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის, იმ ვალდებულებების შესახებ, რომლებიც წარმოიშვა კომპანიაში ფინანსური აქტივობებიდან. ზემოთაღნიშნულს არ ექნება მატერიალური გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს-12 *გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი არარეალიზებული ზარალისთვის* (გამოშვებული 2016 წლის იანვარში). ცვლილებები ეხება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს, რომელიც განმარტავს, რომ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი - დაკავშირებული სავალო ვალდებულებით გამოწვეულ არარეალიზებული ზარალთან უნდა აღრიცხოს სამართლიანი ღირებულებით, პრაქტიკაში განსხვავების დასაფიქსირებლად. სავარაუდოა, რომ ზემოთაღნიშნულს არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს-2 *კლასიფიკაცია და შეფასება წილობრივი გადახდების ტრანზაქციებზე* (გამოცემებული 2016 წლის ივნისში). ცვლილებები, ეხება 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს, რომელიც განმარტავს ვესტირების და არავესტირების ეფექტებს აქციაზე დაფუძნებული გადახდის (ადგ) ნაღდი ფულით ანგარიშსწორებაზე,

## სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“

### ფინანსური ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ადგ)-ს აღრიცხვისას ნეტო საგადასახადო თვისებაზე საშემოსავლო გადასახადის ვალდებულების თვალსაზრისით და (ადგ)-ს პირობების მოდიფიკაციაზე, რომელიც უცვლის ტრანზაქციას კლასიფიკაციას ნაღდ ფულზე დაფუძნებულიდან კაპიტალზე დაფუძნებულზე. მოსალოდნელი არაა, რომ ზემოთაღნიშნულს მატერიალური ეფექტი ექნება კომპანიის ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს-4-ში სახელწოდებით *ფასს-9 ფინანსური ინსტრუმენტების გავრცელება ფასს-4 სადაზღვევო კონტრაქტებზე* (გამოშვებული 2016 წლის სექტემბერში) ცვლილებების მიხედვით კომპანიებს, რომლებიც უშვებენ სადაზღვევო კონტრაქტებს აქეთ უფლება შემოსულობა ან ზარალი აღიარონ სხვა სრულ შემოსავალში და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მერყეობა რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ფასს-9-ის გავრცობამ ფასს-4-ზე, პროექტდება კომიტეტის მიერ. ასევე კომპანიებს, რომელთა აქტივობები განსაკუთრებულადაა დაკავშირებული სადაზღვევო საქმიანობასთან, დროებითი გამოწვევის სახით შეიძლება არ გადავიდნენ ფასს-9-ზე (2021 წლამდე) და ამგვარად დარჩნენ ბასს-39-ზე. კომპანიას არ გამოუშვია სადაზღვევო კონტრაქტები, შესაბამისად ცვლილებებს არ ექნება ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 „*ფინანსური ინსტრუმენტები*“ (გამოცა 2014 წლის ივლისში) – ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (და ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის 1 იანვარს დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს. იგი შეიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასებისთვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვის და აღიარების შეწყვეტისათვის.

ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შეფასდეს ამორტიზირებული ან სამართლიანი ღირებულებით (მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრულ შემოსავალში) იმის მიხედვით, თუ რომელ ბიზნეს მოდელში ექცევა ისინი და როგორია მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსური ვალდებულებებისთვის, ფასს 9-ის ყველა მნიშვნელოვანი გავლენა დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, როდესაც შერჩეულია სამართლიანი ღირებულების მეთოდი: სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომელიც უკავშირდება აღნიშნული ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში), გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული იწვევს სააღრიცხვო შეუსაბამობას.

ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 უზრუნველყოფს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელს, რომელიც დამყარებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ცნებაზე ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე; საკრედიტო ზარალის აღიარებამდე აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობის საჭიროება.

ჰეჯირების აღრიცხვისთვის, ფასს 9 შეიცავს არსებით შესწორებებს, რომელთა თანახმად ფინანსურ ანგარიშგებებში უკეთ ასახება რისკის მართვის საქმიანობები, როდესაც ხდება ფინანსური და არაფინანსური რისკის ჰეჯირება.

აღიარების შეწყვეტის დებულებები თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი ბასს 39-იდან.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ფასს 9 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ცვლილებები ფასს 10 და ბასს 28-ში „*ინვესტორსა და მის მკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების შექმნა/ გაყიდვა*“ (გამოცა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილებები, ეხება ორ სტანდარტს შორის არსებულ შეუთავსებლობას და განმარტავს, რომ მოგება ან ზარალი სრულად უნდა იქნას აღიარებული, როდესაც ტრანზაქციაში ჩართულია ბიზნესი, და ნაწილობრივად, თუ მასში ჩართულია აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს. ამ ცვლილების ამოქმედების დღე თავდაპირველად იყო 2016 წლის 1 იანვარი, მაგრამ გადაიდო განუსაზღვრელი ვადით, თუმცა მისი ადრეული გამოყენება ჯერ კიდევ ნებადართულია. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 15 „*შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან*“ (გამოცა 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 11, ბასს 18 და მათ ინტერპრეტაციებს (იმჟ 31 და ფაისკ 13, 15 და 18). იგი აწესებს შემოსავლების აღიარების ერთიან და ამომწურავ სისტემას, რომელიც მუდმივად იქნება გამოყენებული სხვადასხვა ტრანზაქციებთან, ინდუსტრიებთან და საფონდო ბაზრებთან მიმართებაში ძირითადი პრინციპით (ხუთი ეტაპის მოდელზე დაყრდნობით, რომელიც იმოქმედებს მომხმარებლებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე), გაუმჯობესებული განმარტებებით, და ახალი ან გაუმჯობესებული ინსტრუქციებით (მაგ: როდის ხდება შემოსავლის აღიარება, ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების და მიღების ხარჯები, და სხვ.). დირექტორების მოლოდინით, ფასს 15 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას

## სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“

### ფინანსური ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სავარაუდოდ მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კომპანიის შემოსავლებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. დირექტორების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს კომპანია, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო, თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

### (ბ) შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებულ ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნას ან შემენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორცაა კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

### (გ) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღრიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა გახორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

საოფისე აღჭურვილობა	20% წრფივი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20% წრფივი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.



## საიჯარო აქტივები

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, თუ მოიჯარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარის აღებასთან დაკავშირებით მიღებული წახალისება აღირიცხება როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება, წრფივი მეთოდით, საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

## (დ) არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწრა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის 5-წლიანი ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

## (ე) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღის დღეს გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივი.

გამოყენების ეკონომიკური სარგებელი არის აქტივის/ერთეულის გამოთვლილი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულებების გამოთვლა წარმოებს დისკონტირების განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან / ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა გაუფასურების ნიშნები, ყოველწლიურად ხდება აქტივების გაუფასურებაზე შემოწმება (ან უფრო ხშირად თუ მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გაუფასურებას).

### (ვ) ფინანსური ინსტრუმენტები

#### თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მამინ და მხოლოდ მამინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

#### ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას ახდენს შემდეგ კატეგორიებად:

*სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგება ან ზარალში ასახვით (FVTPL)* აქტივები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო აქტივები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც გამოიყენება ეფექტური ჰეჯირებისათვის) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად.

FVTPL ფინანსური აქტივების ხელახალი შეფასებისას წარმოქმნილი მოგება ან ზარალი მოიცავს ნებისმიერ დივიდენდს ან გამომუშავებულ საპროცენტო სარგებელს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

*სესხები და მოთხოვნები* სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ამ კატეგორიაში შეუძლებელია ისეთი აქტივების კლასიფიცირება, რომელთა გაყიდვასაც კომპანია დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გეგმავს. ეს აქტივები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქმნილი ზარალი.

როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება დებიტორული დავალიანება, საბანკო ნაშთები და ფულადი სახსრები.

*დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები* აღნიშნული აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრული საზღაურით და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომელთა ფლობის განზრახვა და უნარი კომპანიას ვალდებულების შესრულების ვადამდე აქვს. ამ კატეგორიაში დაუშვებელია იმ ფინანსური აქტივების კლასიფიცირება, რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს *სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით* და აქტივებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ *სესხებისა და მოთხოვნების* განმარტებას. სესხებისა და მოთხოვნების მსგავსად, ეს აქტივები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობით წარმოქმნილი ზარალი.

*გასაყიდად არსებული (AFS) ფინანსური აქტივები* ეს არაწარმოებული ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებით მიეკუთვნება არსებულ ხელმისაწვდომ აქტივებს ან არ არის კლასიფიცირებული ზემოთ მითითებულ არც ერთ კატეგორიაში. ისინი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. თუმცა, არაკოტირებული საფონდო ინსტრუმენტები აღიარდება თვითღირებულებით, როდესაც შეუძლებელია მათი სამართლიანი ღირებულების ზუსტად შეფასება.

კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგების და ზარალის, საპროცენტო შემოსავლისა და დივიდენდების გარდა, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ცვლილებები AFS ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება გადაფასების რეზერვში, სანამ არ მოხდება

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“

ფინანსური ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ინვესტიციის გასხვისება ან გაუფასურებულად განსაზღვრა. ამ დროისთვის, გადაფასების რეზერვში უკვე დაგროვებული კუმულაციური მოგება/ ზარალი რეკლასიფიცირდა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

### **ფინანსური აქტივების გაუფასურება**

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს (გარდა FVTPL), გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთ ან მეტ გარემოება რომელსაც გავლენა ექონდებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილი სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ობიექტური სამხილი შესაძლოა იყოს კონტრაგენტის ფინანსურ პრობლემები, ხელშეკრულების დარღვევა, მსესხებლის გაკოტრების ალბათობა, ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო, და სხვ.

AFS საფონდო ინსტრუმენტებისთვის, გაუფასურების ობიექტურ სამხილად ასევე ითვლება ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი ვარდნა ფასის დონის ქვემოთ.

ამასთანავე, დებიტორული დავალიანების გაუფასურებას, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია მათ გაუფასურებას განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელის მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

მხოლოდ დებიტორული დავალიანებისთვის, საბალანსო ღირებულება მცირდება საექვო ვალების რეზერვის გამოყენებით და იმ თანხების შემდგომი ამოღება, რომელთა ჩამოწმაც მოხდა, კრედიტირდება საექვო ვალების რეზერვში. საექვო ვალების რეზერვის საბალანსო ღირებულების ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივისთვის, საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალის ოდენობით.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექვო ვალების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკანდაბრუნების დღეს.

AFS სავალო ფასიანი ქაღალდებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების ზრდა ობიექტურად ამყარებს გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენას, გაუფასურების ზარალი შემდგომ უკან დაბრუნდება მოგების ან ზარალის მეშვეობით. AFS წილობრივ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით კი, გაუფასურების ზარალის დადგომის შემდეგ სამართლიანი ღირებულების ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავლებში და გროვდება გადაფასების რეზერვში; გაუფასურების ზარალი უკან არ ბრუნდება მოგების-ზარალის ანგარიშგებაში.

### **ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ბასს 39-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

### **ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება**

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ დაუკლასიფიცირებია ფინანსური ვალდებულება, როგორც *სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)*.

ყველა სხვა ვალდებულება აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

**ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა**

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ბასს 39-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

ის ფაქტი, სრულად მოხდება აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა, თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

**ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

**(ზ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები**

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები (მაგ: გასაყიდად ხელმისაწვდომი წილობრივი ინსტრუმენტები) კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	USD	EUR	GBP
გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6468	2.7940	3.2579
გაცვლითი კურსი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.3949	2.6169	3.5492
საშუალო გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.3667	2.6172	3.2051
საშუალო გაცვლითი კურსი 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.2702	2.5204	3.4732

**(თ) მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადი გამოითვლება მოქმედი ან ანგარიშგების თარიღის დღეს ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთით. დასაბეგრი მოგება სააღრიცხვო მოგებისგან განსხვავდება იმ მიზეზის გამო, რომ ზოგი შემოსავალი და ხარჯი არასდროს იბეგრება ან იქვითება, ან მათი დაბეგვრის ან დაქვითვის დროის მონაკვეთი განსხვავებულია მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობისა და სააღრიცხვო მიდგომების თვალსაზრისით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვალდებულებათა მეთოდით, გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და შესაბამის საგადასახადო ბაზას შორის ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, გარდა აქტივთა და ვალდებულებათა თავდაპირველი აღიარებისას წარმოქმნილი დროებითი სხვაობებისა, რომლებსაც არ აქვთ გავლენა დასაბეგრ ან სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც მოსალოდნელია აქტივის რეალიზების ან ვალდებულების დაფარვის პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის (და საგადასახადო კანონმდებლობის) საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

## სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“

### ფინანსური ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად თვლის კომპანია (მეტი ალბათობა), რომ იმავე საგადასახადო იურისდიქციის ფარგლებში მას ექნება საკმარისი დასაბეგრი მოგება აქტივის უტილიზაციისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიული უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან გასაქვითად, ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე საგადასახადო ორგანოსთან და კომპანიას სურს თანხების დაფარვა ურთიერთგაიქვითვის საფუძველზე.

პერიოდის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი წარმოიშვა ტრანზაქციიდან ან გარემოებებიდან, რომლებიც აღირიცხა სხვა სრულ შემოსავალს ან პირდაპირ კაპიტალის მუხლში.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღიარდება ყველა დროებით სხვაობასთან მიმართებაში (იხ. შენიშვნა 6).

### (ი) ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს მოვალეობას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მათი დადგომის შესაბამისად.

### (კ) კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისო კაპიტალში.

## 3 მოგების გადასახადი

	2016	2015
	ლარი	ლარი
მიმდინარე მოგების გადასახადი	-	-
გადავადებული მოგების გადასახადი (იხ. შენიშვნა 6)	3,991	4,029
<b>სულ მოგების გადასახადი</b>	<b>3,991</b>	<b>4,029</b>

მოგების გადასახადი არის წლიური მოგების 15%. ეს არის ბოლო საანგარიშგებო პერიოდი, რომლის დროსაც მოგების გადასახადი გაიანგარიშება ამ პრინციპით.

2016 წლის მასში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ცვლილებების გავლენა გადავადებულ მოგების გადასახადზე აღწერილია მე-6 განმარტებით შენიშვნაში.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგების გადასახადის რეკონსილაცია:

	2016	2015
	ლარი	ლარი
წლის ზარალი დაბეგრამდე	(70,256)	(23,072)
<b>თეორიული მოგების გადასახადის შეღავათი (15%)</b>	<b>(10,538)</b>	<b>(3,461)</b>
მუდმივი სხვაობა	4,860	(568)
<b>წლის მოგების გადასახადის შეღავათი</b>	<b>(5,678)</b>	<b>(4,029)</b>
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	8%	17%

#### 4 ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
<b>ღირებულება</b>			
<b>2015 წლის 1 იანვარის მდგომარეობით</b>	<b>26,603</b>	<b>-</b>	<b>26,603</b>
შემენა	7,890	9,625	17,515
გასვლა	(5,350)	-	(5,350)
<b>2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>29,143</b>	<b>9,625</b>	<b>38,768</b>
შემენა	-	-	-
გასვლა	-	-	-
<b>2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>29,143</b>	<b>9,625</b>	<b>38,768</b>
<b>ცვეთა და გაუფასურება</b>			
<b>2015 წლის 1 იანვარის მდგომარეობით</b>	<b>26,230</b>	<b>-</b>	<b>26,230</b>
ცვეთა წლის მანძილზე	627	1,925	2,552
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	(46)	-	(46)
<b>2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>26,811</b>	<b>1,925</b>	<b>28,736</b>
ცვეთა წლის მანძილზე	676	1,925	2,601
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-
<b>2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>27,487</b>	<b>3,850</b>	<b>31,337</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>			
<b>2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>2,332</b>	<b>7,700</b>	<b>10,032</b>
<b>2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>1,656</b>	<b>5,775</b>	<b>7,431</b>

#### 5 არამატერიალური აქტივები

კომპანია იყენებს 120,338 ლარის ღირებულების პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც მთლიანად არის ამორტიზებული.

## 6 გადავადებული მოგების გადასახადი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია შემდეგი ნაშთები:

	2016	2015
	ლარი	ლარი
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	-	3,991
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	-	-
<b>წმინდა ბალანსი</b>	<b>-</b>	<b>3,991</b>

გადავადებული საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	აღიარებულია მოგება- ზარალში
<b>2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>(38)</b>
საგადასახადო ზარალი	4,029
<b>2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>3,991</b>
საგადასახადო ზარალი	(3,991)
<b>2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>-</b>

2016 წლის მასში საქართველოს პარლამენტმა დამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება მოგების განაწილების დროს არ აღიარდება კომპანიის ბალანსზე.

## 7 ფინანსური აქტივები, დებიტორული მოთხოვნები

	2016	2015
	ლარი	ლარი
დებიტორული მოთხოვნები	11,515	7,726
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(925)	(925)
<b>სულ</b>	<b>10,590</b>	<b>6,801</b>

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

## 8 ფული და ფულის ექვივალენტები

	2016	2015
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული	55	7
ნაშთი მიმდინარე საბანკო ანგარიშზე	7,083	25,599
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები	1,367,633	317,625
<b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b>	<b>1,374,771</b>	<b>343,231</b>

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფული განთავსებულია სხვადასხვა ბანკებში. დეპოზიტებს ერიცხება სარგებელი. დეპოზიტებიდან მიღებულმა შემოსავალმა წლის მანძილზე შეადგინა 22,046 ლარი (2015: 5,625 ლარი).

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა ფულსა და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

## 9 სააქციო კაპიტალი

2016 წლის დეკემბერში კომპანიამ გამოუშვა 304,499 აქცია, ნომინალური ღირებულებით თითო აქციაზე - 1 ლარი, ხოლო გასაყიდი ფასმა შეადგინა 3,62 ლარი, რის შედეგადაც კომპანიის სააქციო კაპიტალი გაიზარდა 304,499 ლარით, ხოლო საემისიო კაპიტალი 798,701 ლარით. ახალი გამოშვებული აქციები სრულად შეიძინა სს „თბილისის საფონდო ბირჟამ“ ჯამური ღირებულებით 1,103,200 ლარი.

2016 წლის საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის აქციონერებზე დივიდენდი არ გაცემულა.

2015 წლის 31 დეკემბერის კომპანიის სააქციო კაპიტალი შედგებოდა 101,200 ცალი 1 ლარის ნომინალური ღირებულების მქონე ჩვეულებრივი აქციებისაგან.

## 10 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	2016	2015
	ლარი	ლარი
<b>ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:</b>		
შემოსავლები დამფუძნებლისგან	12,000	12,000
შემოსავლები დამფუძნებლის შვილობილისგან	5,305	5,305
შემოსავალი სხვა დაკავშირებული მხარეებიდან	5,217	4,463
შემენა დამფუძნებლისგან	-	8,536
შემენა დამფუძნებლის შვილობილისგან	-	138
აქციების გაყიდვიდან მიღებული თანხა (თბილისის საფონდო ბირჟა)	1,103,200	-

### ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

	2016	2015
	ლარი	ლარი
<b>დებიტური ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან</b>		
დებიტორული მოთხოვნები	1,393	6,331
კრედიტორული დავალიანება	-	394

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება:

	2016	2015
	ლარი	ლარი
<b>ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება</b>		
ხელფასები და დანამატები	64,300	64,620



## 11 სპონსორებისგან მიღებული შემოსავალი

საქართველოში 2016 წლის 8 და 9 სექტემბერს გაიმართა ევრაზიის ცენტრალური დეპოზიტარების ასოციაციის მე-13 საერთაშორისო კონფერენცია. ამ კონფერენციის მასპინძელი იყო სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“. კონფერენციის ხარჯებთან დაკავშირებით სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურმა დეპოზიტარმა“ მიმართა თხოვნით კონფერენციაში მონაწილე, კონფერენციასთან დაკავშირებულ რამოდენიმე ორგანიზაციას სპონსორობის შეთავაზებით. მათგან შვიდმა გამოთქვა სპონსორობის სურვილი და დააფინანსეს კომპანია ჯამში 27,000 აშშ დოლარით, რომელმაც ეროვნულ ვალუტაში შეადგინდა 61,607 ლარი.

## 12 შემოსავალი ერთ აქციაზე

ჩვეულებრივ შემოსავალი ერთ აქციაზე გამოთვლება წლის მოგებისა და წლის მანძილზე საშუალო შეწონილი ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის შეფარდებით. კომპანიას აქვს მხოლოდ ჩვეულებრივი აქციები. წლის დასაწყისში კომპანიას ქონდა 101,200 ცალი აქცია. 2016 წლის დეკემბერში კომპანიამ კიდევ გამოუშვა 304,499 ცალი აქცია. საშუალო შეწონილი ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა დღეების რაოდენობაზე შეწონვით არის 107,856 ცალი აქცია. რადგან კომპანიას არ ქონდა კონვერტირებადი ან პრივილეგირებული აქციები, კომპანიის საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე არის ერთიდაიგივე.

	2016	2015
აქციონერებისათვის განკუთვნილი მოგება/ზარალი	(74,247)	(19,043)
<b>მოგება/ზარალი წლის მანძილზე</b>	<b>(74,247)</b>	<b>(19,043)</b>
ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა	107,856	101,200
<b>საბაზისო და გაზავებული</b>	<b>(0.69)</b>	<b>(0.19)</b>

## 13 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის სამ კომპონენტს:
  - საპროცენტო რისკი
  - სავალუტო რისკი
  - ფასიანი ქაღალდების რისკი

საანგარიშგებო პერიოდში აღნიშნული რისკებისადმი დაქვემდებარება, გარდა სავალუტო რისკისა, არაარსებობს.

### სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განთავსებას.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას უცხოურ ვალუტაში ჰქონდა მხოლოდ ფული და ფულის ექვივალენტები.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	ფული და ფულის ექვივალენტები
	ლარი
ლარი	213,579
აშშ დოლარი	1,161,192
<b>სულ</b>	<b>1,374,771</b>

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ფული და ფულის ექვივალენტები
	ლარი
ლარი	182,019
აშშ დოლარი	161,212
<b>სულ</b>	<b>343,231</b>

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 17,418 ლარით (2015: 13,703 ლარით).

#### 14 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2017 წლის 27 მარტს.

#### 15 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, არამატერიალური აქტივების მომსახურების ვადის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.